პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №08

2018წ. "06" 03

ქ.თბილისი

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "აისისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის № 45 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს ,,სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "აისისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ'' პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის № 45 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „აისს'' (ს/კ:227770800) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტების სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტების ათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	სატყეო საქმე (1)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში 010556	48	78	ქართული	30	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
							30	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი შრომა
2	ინფორმაციის ტექნოლოგია (1)	მესამე	მესამე საფეხურის კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 040171	60	75	ქართული	30	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
3	მეხილეობა (კურკოვანი კულტურები) (2)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მეხილეობაში (კურკოვანი კულტურები) 010166	94	124	ქართული	30	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 მარტის №2 სხდომის ოქმის მეორე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.

თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
ელგუჯა მელაძე

მდივანი
ანასტასია ქიტიაშვილი